სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები,
ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია,
Proceedings of Sokhumi State University,
Humanities and Socio-Political Sciences Series, ტომი/ Vol. XX, 2022 წელი

ლეილა შეროზია[1]
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

https://doi.org/10.52340/sou.2022.20.33

ახალი მიდგომები სკოლისა და ოჯახის ურთიერთობებში

აბსტრაქტი. მრავალი წლის განმავლობაში მასწავლებელთა უმრავლესობაში გამჯდარი იყო რწმენა მშობელთა არაკომპეტენტურობის შესახებ. მათ ღრმად სჯეროდათ, რომ უნდა უნდა დაერიგებინათ მშობლები, მიეთითებინათ შეცდომებსა და ნაკლულოვანებზე, გაეკონტროლებინათ ოჯახი, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა ურთიერთობის ისეთი ფორმები და მეთოდები, რომელშიც იგულისხმებოდა კრებებსა და კონსულტაციებზე ინსტრუქციული შეტყობინებები (პედაგოგის მონოლოგის დომინირება), რამაც უარყოფითი შედეგები გამოიწვია პედაგოგისა და მშობლების ურთიერთობაში.

თანამედროვე პირობებში სკოლასა და ოჯახს შორის სხვანაირი დამოკიდებულება ფორმირდება. ეს დამოკიდებულება თანამშრომლობა და ურთიერთქმედებაა. აქ მთავარი მომენტი სწავლის პერიოდში პედაგოგებსა და მშობლებს შორის პირადი ურთიერთქმედებებია, რომელიც დაკავშირებულია ბავშვის სიხარულთან და პრობლემებთან, წარმატებსა და წარუმატებლობასთან. ნაშრომში კონტენტ ანალიზის მეთოდის საფუძველზე, გაანალიზებულია ძველი და ახალი მიდგომები და ინოვაციური მიდგომების სასარგებლოდ, გამოტანილია შესაბამისი დასკვნები.

საკვანძო სიტყვები: ზოგადი განათლება, სკოლა და ოჯახი, ურთიერთობები, დამოკიდებულება, მშობლები და მასწავლებლები, ინოვაციური მიდგომები.

---

[1] **ლეილა შეროზია,** პედაგოგიკის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი.

Leila Sherozia[2]
Sokhumi State University

New approaches in school and family relations

Abstract. For many years, the majority of teachers held the belief that parents were incompetent. They deeply believed that it was necessary to correct parents, to point out mistakes and shortcomings, to control the family, as a result of which such forms and methods of communication were formed, which meant instructional messages at meetings and consultations (the dominance of the pedagogue's monologue), which caused negative consequences in the relationship between the teacher and parents.

In modern conditions, a different attitude is formed between school and family. This attitude is cooperation and interaction. The main point here is the personal interactions between teachers and parents during the learning period, which is related to the child's joys and problems, successes and failures.

Based on the method of content analysis, old and new approaches are analyzed in the paper and relevant conclusions are drawn in favor of innovative approaches.

Key words: General education, School and Family, Relationships, Attitude, Parents and Teachers, Innovative Approaches.

ძირითადი კვლევა. ოჯახური აღზრდის პრიორიტეტის აღიარება საჭიროებს სხვანაირ დამოკიდებულებას სკოლასა და ოჯახს შორის. ამ ურთიერთობის სიახლე განისაზღვრება ისეთი გაგებით, როგორიცაა „თანამშრომლობა“ და „ურთიერთქმედება“.

დღეს-დღეობით მიმდინარეობს სკოლისა და ოჯახური ურთიერთქმედების ოპტიმალური მექანიზმის ძიება ბავშვის სოციალიზაციის პროცესში. მეცნიერთა მიერ მოწოდებული ყველა რეკომენდაციების საერთო აზრი ერთმანეთს ემთხვევა – რომ აუცილებელია ოჯახების გულდასმით შესწავლა (ზნეობრი-ფსიქოლოგიური კლიმატი ოჯახში, მშობელთა პედაგოგიური განათლება) და მათი დიფერენციაცია ტიპების მიხედვით.

როგორც ცნობილია, ოჯახი არის `სოციალური მიკროკოსმოსი~, სადაც ბავშვი გაცილებით მეტ დროს ატარებს, ვიდრე სკოლაში. სკოლა და სხვა დაწესებულებები დიდ სიბნელეს აწყდებიან ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში, რომელთა მიზეზი სხვადასხვაა: სკოლაში მისული ბავშვი უკვე ფორმირებული პიროვნებაა თავისი ზნე-ჩვეულებებით, მოთხოვნილებებით, აქ იგი დღეში 5-6 (დაწყებით კლასებში უფრო ნაკლებს) საათს ატარებს, მოსწავლე-

[2] **Leila Sherozia**, Doctor of Pedagogy, Guest Lecturer of Sokhumi State University.

თა რაოდენობა კლასში დიდია (30-40) მოსწავლე, სადაც იგი ვერ უზრუნველ-ყოფს ყველა ბავშვთან ინდივიდუალურ მიდგომას. აქედან გამომდინარე, მთელი ძირითადი დატვირთვა მაინც ოჯახზე გადადის.

ამიტომ აღმზრდელობითი ფუნქციის ხელსაყრელი პირობების მქონე ოჯახები მნიშვნელოვნად უსწრებენ წინ ყველა სოციალურ ინსტიტუტებს, აქედან გამომდინარე, ოჯახური აღზრდის მეთოდიკა არაერთგვაროვანია.

პედაგოგი, რომელიც თანამშრომლობს მშობლებთან მას თავის მოკავ-შირედ მიიჩნევს. იგი უნდა ხელმძღვანელობდეს მეცნიერულ-პედაგოგიური დასკვნებით, რომლის ძირითადი არსი მდგომარეობს შემდეგში: ოჯახის გავ-ლენა ბავშვზე ყველა აღმზრდელობით ღონისძიებებზე ძლიერია, ასაკის მატებასთან ერთად. ეს გავლენა სუსტდება, მაგრამ არ ქრება. ოჯახში ყალი-ბდება ის თვისებები, რომელიც არსად არ შეიძლება მოხდეს, ოჯახი აყალი-ბებს სოციალურ პიროვნებას თავისი შემადგენელი ძირითადი კომპონე-ნტებით (ფიზიკური, ზნეობრივი, შრომითი, ესთეტიკური). ოჯახი უზრუნველ-ყოფს ტრადიციების შთამომავლობისთვის გადაცემას და ბოლოს – იგი დიდ გავლენას ახდენს პროფესიის არჩევაზე.

ამდენად, ოჯახი ვალდებულია შეძლოს ფიზიკურად და ჯანმრთელი, ზნეობრივად და ინტელექტუალურად განვითარებული პიროვნების ფორმი-რება, რომელიც მზად იქნება შრომითი, საზოგადოებრივი და ოჯახური ცხოვ-რებისათვის, ყველაფერს ამას ემატება ბავშვთა ეკოლოგიური, ეკონომიკური და სამართლებრივი აღზრდა.

ფიზიკური აღზრდა ყოველთვის იდგა და დგას პირველ ადგილზე, რად-გან ჯანმრთელობის პრიორიტეტი არ შეიძლება სხვა რამით შეიცვალოს, იგი დაფუძნებულია ოჯახში არსებულ ჯანსაღი ცხოვრების წესზე.

ინტელექტუალური აღზრდა. ფაქტიურად იგი გულისხმობს მშობელთა დაინტერესებულ მონაწილეობას ბავშვის ცოდნის გასაღრმავებლად, მათი შეძენისა და გამუდმებული განახლების მოთხოვნილებების ფორმირებაში.

ზნეობრივი აღზრდა - ოჯახის ზნეობის სკოლაა. როგორი ადამიანები არიან მშობლები, ისეთი მორალი ბატონობს ოჯახში, ამიტომ ბავშვის მორა-ლური სახის ჩამოყალიბება დიდად არის დამოკიდებული ოჯახზე. ცრუ აქცე-ნტი კეთდება ისეთ ზნეობრივ კატეგორიებზე, როგორიცაა სიყვარული და პა-ტივისცემა, სიკეთე და წესიერება, პატიოსნება და სამართლიანობა, დისციპ-ლინიანობა, სინდისი და მოვალეობის გრძნობა.

ესთეტიკური განვითარება – ოჯახი ვალდებულია ადრეული ასაკიდან ჩაუნერგოს ბავშვებს ცხოვრებაში არსებული მშვენიერების შესახებ. წარსუ-ლის ესთეტიკური ორიენტირები დღეს უკვე ეჭვს იწვევენ, განსაკუთრებით

ცრუ ღირებულებების პოპულარიზაციით, რომლებსაც შეცდომაში შეჰყავთ ბავშვებიც და მშობლებიც.

შრომითი აღზრდა – იგი ბავშვთა ზნეობრივი ცხოვრების საფუძველია, ადამიანი, რომელიც არაა მიჩვეული შრომით ცხოვრებას, იგი ცდილობს ეძებოს „იოლი“ გზა, რომელიც, როგორც ვიცით, ძალიან ცუდად მთავრდება. ამიტომ სკოლა და ოჯახი საფუძვლიანად უნდა გაერკვნენ ბავშვთა განვითარების საკითხებში, როგორ და რაში ვლინდება ხანდახან მათი გადახრები (დევიაციები).

შ. კუჭუხიძე თავის ნაშრომში „პედაგოგიკა და ფსიქოლოგია მშობლების სამსახურში“ (1981 წ.), ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ პედაგოგიურად მიშვებული მოსწავლეების ოჯახებთან მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს დეფერენცირებულად, იგი გამოყოფს ასეთი ოჯახების სამ ჯგუფს:

1. ოჯახები, რომლებიც უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან საქმეს (ამ მდგომარეობას ართულებს მშობელთა ამორალური საქციელი);

2. ოჯახები, სადაც მშობლებს დაბალი პედაგოგიური კულტურა აქვთ, არ ფლობენ ბავშვებთან მუშაობის მეთოდიკას და ფორმებს, რის შედეგადაც ისინი ვერ ახერხებენ შეარჩიონ სწორი სტილი ბავშვებთან ურთიერთობის დროს;

3. ოჯახებში, სადაც დომინირებს ოჯახური განხეთქილება, მშობლების მოუცლელობა და ა. შ. ასეთ მშობლებთან დასაშვებია მათთან დეფერენცირებული მუშაობის წარმართვა.

ამ მხრივ განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია კლასის ხელმძღვანელის პოზიცია, რომელსაც ის იყენებს უყურადღებო მშობლებთან მუშაობის დროს, ის უნდა გახდეს მშობლების მოკავშირე სიძნელეების გადალახვისას და არა ბრალმდებელი. ამასთან ერთად უნდა გვახსოვდეს, რომ მათი მუშაობა მიმართული უნდა იყოს არა მოსწავლეთა საწინააღმდეგოდ, არამედ ბარიერის გადასალახავად. ამიტომ ყველა შეხვედრა მშობლებთან უნდა ითვალისწინებდეს შემდეგი პირობების გაანალიზებას: რა შემიძლია ვთქვა კარგი მოზარდის შესახებ (მშობელთა ფსიქოლოგიური განწყობის ამაღლების მიზნით, რომ იგი გახდეს პედაგოგის „მოკავშირე“), რა მაწუხებს მასში, (რომლის გამოც მშობელი გამოძახებული იქნა სკოლაში) პედაგოგის ვიზიტი, ან კიდევ მშობელთა კრებაზე განსახილველი საკითხები. ასევე უნდა დავინტერესდეთ იმ საკითხებით დაინტერესება, თუ რა იწვევს უარყოფით მოვლენებს, რასაც საბოლოო ჯამში მივყავართ გულახდილობამდე და ვადგენთ ჭეშმარიტ მიზეზს.

ჩვენი სკოლის ვალია, შევუნარჩუნოთ თითოეულ ბავშვს თავისი უნიკალური ინდივიდუალობა, განუმეორებელი ხიბლი. უკანასკნელ წლებში იყო

აღზრდის თვითმყოფადი იდეებისა და კონცეფციების შექმნის მცდელობები, მათ შორის: თვითგანვითარებადი აღმზრდელობითი სისტემის კონცეფცია, კულტურის ადამიანის აღზრდის კონცეფცია, კოლექტიური შემოქმედებითი საქმეების მეთოდიკა, განათლებაში ბავშვების პედაგოგიური მხარდაჭერის თეორია, თვითგანვითარებადი პედაგოგიური საქმიანობის თეორია.

ზემოჩამოთვლილი თეორიებიდან რომელზე უნდა აიღოს ორიენტაცია სკოლამ? ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია არა თვითონ იდეები, არამედ სასკოლო პრაქტიკის უნარი მათ აღსაქმელად. შეუძლებელია დაიწყო აღზრდა უბრალოდ „თეორიის“ შესწავლით, რასაც ხშირად აკეთებს მასწავლებელი. ამისათვის საჭიროა გახდე ჭეშმარიტი აღმზრდელი, ანუ დაეუფლო პიროვნული თვითორგანიზაციის პროფესიონალური პედაგოგიური კულტურის, ფსიქოლოგიური მექანიზმებისა და აღსაზრდელის სულიერ სამყაროზე მიზანმიმართული ზემოქმედების ტექნოლოგიებს. მშობლები აღმზრდელში პროფესიონალ-აღმზრდელს უნდა ხედავდნენ, რომელიც ფაქიზად გრძნობს მოსწავლის ფიქრებსა და განცდებს.

აღზრდის თეორიასა და პრაქტიკაში არსებობს დიდი სხვაობა პრინციპულ საკითხებში, მაგალითად, რომელ საქმიანობაშია მოსწავლის ჩართვა აუცილებელი იმისათვის, რომ რეალიზებულად ჩაითვალოს მისი აღზრდის პროცესი? თეორია პასუხობს, რომ ნებისმიერი... მაინც რომელში? რა უნდა მოვუხერხოთ, რით დავასაქმოთ? იქნებ ეს საკითხი სულ სხვაგვარად უნდა დაისვას. რისგან გავათავისუფლოთ? რაში მივცეთ სრული ინიციატივის გამოვლენის უნარი?

პიროვნებაზე ორიენტირებული აღზრდის მნიშვნელობა – ეს არის ერთიანი სისტემა სკოლასა და სოციუმში, რომელშიც ბავშვი გამოავლენს თავის ბუნებრივ, სოციალურ და კულტურულ არსთან ერთიანობაში. პიროვნებაზე ორიენტირებული სტრატეგიის აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს კულტურულ-აღმზრდელობითი გარემოს შექმნა, ანუ ისეთი გარემოსი, რომელშიც ყოველი ბავშვი ყოველგვარი ზედმეტი ძალისხმევისა და ბარიერის გარეშე შეძლებს გამოიყენოს საკუთარი ძალები, შემოქმედებითი უნარი, დაიკმაყოფილოს საკუთარი ინტერესები, ცნობისმოყვარეობა, იგრძნოს თანატოლებისა და უფროსების მხრიდან კეთილი და გულისხმიერი დამოკიდებულება.

კაცობრიობის პროგრესი ყოველთვის ეფუძნებოდა კულტურას, როგორც გულმოწყალების, სიყვარულის, გონიერების, ოჯახის, სიკეთისა და სხვა ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების კულტურის ერთიანობას.

ანტიკულტურა ვერასოდეს მიაღწევდა ისეთ გაქანებას, რომ არ ამოფარებოდა ახალგაზრდულ კონტრკულტურას, რომელიც წარმოადგენდა უხეშად დისკრიმინაციული საზოგადოების სოციალური პროტესტის ფორმას და

დიდი თანაგრძნობით სარგებლობდა. მაშინ ისმება ასეთი ლოგიკური შეკითხვა: რატომ უნდა ეყრდნობოდეს ახალგაზრდობის კულტურა აუცილებლად ანტიკულტურას და არა საკუთარ კულტურას? – ამ კითხვაზე პასუხი ბევრად არის დამოკიდებული სკოლაზე.

ამიტომ პიროვნულ-ორიენტირებული განვითარება უნდა აერთიანებდეს სწავლებასა და აღზრდას, აღზრდის პრიორიტეტით სწავლებასთან, ამის თქმის უფლებას მაძლევს შემდეგი თავისებურებანი: აღზრდა სწავლებისაგან განსხვავებით, მიმართულია არა გონებისაკენ, არამედ სულის აღზრდისკენ აღზრდა ზრუნავს არა სასწავლო გეგმაზე, არამედ მოსწავლის სულის გეგმაზე, აღზრდა ორგანიზაციას უკეთებს პიროვნების სოციალურ გამოცდილებას, ასწავლის საკუთარი ცხოვრების გარემოს შექმნას.

სკოლების პედაგოგიური კოლექტივები უნდა ითვალისწინებდნენ იმ ფაქტს, რომ მშობელთა შორის არიან ჩაკეტილი, კონფლიქტური, მშფოთვარე და ხანდახან სხვა ადამიანების მიმართ მტრულად განწყობილი პირები მათთან მიმართებაში შეიძლება გამოყენებულ იქნას კარლ როჯერსის ფსიქოთერაპიის მეთოდი, რომლის საფუძველს წარმოადგენს დამხმარე ურთიერთობების შექმნა, რომლებიც ახდენენ ადამიანის თვითშეცვლისა და თვითგანვითარების უნარის აქტუალიზაციას. დამხმარე ურთიერთობების შექმნა შესაძლებელია სამი უმნიშვნელოვანესი პირობის რეალიზაციის პროცესში.

გულახდილობა, გულწრფელობა, ალალმართლობა ადამიანებთან ურთიერთობაში, მშობლები ბავშვებთან უნდა იყვნენ გულწრფელნი მათთან ურთიერთობის დროს „არ ითამაშონ“, „არ გაიკეთონ ნიღბები“.

ადამიანის უპირო მიღება. მიღებაში კ. როჯერსი გულისხმობს „თბილ“ განწყობას მისადმი, როგორც ადამიანისადმი, რომელსაც გააჩნია უცილობელი ფასეულებები, დამოუკიდებლად მისი მდგომარეობის, ქცევისა და გრძნობებისა.

აუცილებელია უპირობოდ მივიღოთ არა მხოლოდ სხვები, არამედ საკუთარი თავიც; საკუთარი თავის უპირობო მიღება ნიშნავს საკუთარი პიროვნება აღიქვა იმგვარად, რომ შენი ყველა თვისება ნორმალურია და მათგან არც ერთი არ არის უფრო მეტად ღირებული, ვიდრე დანარჩენი. თუ ადამიანი არ იღებს საკუთარ თავს და აფასებს მხოლოდ სხვების თვალით დანახულ ღირსებებს, მაშინ იგი განიცდის დაძაბულობასა და განგაშს.

ასევე ემფატიკური გაგება მოიცავს ადამიანის გრძნობებსა და ფიქრებში შეღწევას, სხვისი პიზიციიდან პრობლემის დანახვის უნარს, სხვის მდგომარეობაში შესვლას - ამბობს კ. როჯერსი.

როგორც დავინახეთ, დადებითი სულიერი ფასეულობების ფორმირება ოჯახში - ბავშვსა და მშობლებს შორის ხდება. ამიტომ აუცილებელია ვიცო-

დეთ, თუ რომელი შიდა ოჯახური ფაქტორები განსაზღვრავენ ბავშვის განვითარებას და მეორეც - სკოლების პედაგოგიური კოლეექტივები კარგად უნდა ერკვეოდნენ პროცესებში, რომელსაც ვიყენებთ აღზრდის თეორიასა და პრაქტიკაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

მენთეშაშვილი (1999). ლია მენთეშაშვილი. საოჯახო აღზრდა. (ბიბლიოგრ. მაჩვენებელი 1900-1999 წწ.), საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემია, რედაქტორი კონსტანტინე რამიშვილი. გამომცემლობა „ცის ნამი“, თბილისი;

კუჭუხიძე (1981). შ. კუჭუხიძე. პედაგოგიკა და ფსიქოლოგია ხალხის სამსახურში. თბილისი;

სკოლა, ოჯახი, საზოგადოება (2005). სკოლა, ოჯახი, საზოგადოება - მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციის პროგრამა, თბილისი, გამომცემლობა „დიოგენე“;

ამერიკული ოჯახი გუშინ, დღეს, ხვალ (2017). ამერიკული ოჯახი გუშინ, დღეს, ხვალ - ალტერნატიული სოციოლოგიის ექსპერიმენტული სკოლა, კიგსინი ალან, თბილისი.